



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2014 წლის 25 ივნისის
 № 1181 დადგენილებით
მოდიფიცირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2018 წლის 2 აპრილის
 № 01-05-04/95 დადგენილებით

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მშენებლობის მენეჯმენტი

Construction Management

ფაკულტეტი

სამშენებლო

Construction

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ვახტანგ ბალავაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

მენეჯმენტის ბაკალავრი
 (Bachelor of Management)

მიენიჭება პროგრამაში არსებული 220 კრედიტისა და თავისუფალი კომპონენტების კომბინირებით არანაკლებ 240 კრედიტის ათვისების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიხედვით, 1 კრედიტი 25 საათს უდრის და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. საბაკალავრო - საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტი ითვისებს არანაკლებ 240 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის მიერ ასათვისებელი კრედიტების წლიური ჯამური რაოდენობა ა) დასაშვებია აღმატებოდეს 60 ECTS კრედიტს, ბ) დასაშვებია იყოს 60 ECTS კრედიტზე ნაკლები, გ) არაა დაშვებული გადააჭრბოს 75 ECTS კრედიტს.

პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება 4 წლით (8 სემესტრი)

სემესტრი მოიცავს 20 კვირას

სასწავლო კვირის რაოდენობაა 15

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობები და შუასემესტრულ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი. თუ შუასემესტრული შეფასების და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამურმა ქულამ შეადგინა 41-50 (FX შეფასება - ვერ ჩააბარა), 51 ან მეტი, სტუდენტს უფლება აქვს იმავე სასესიო პერიოდში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების ქულა არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასების ქულას. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების პროგრამული ნაწილი შედგება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისგან. შუალედური შეფასება თავის მხრივ მოიცავს მიმდინარე აქტივობას და შუასემესტრულ გამოცდას. შეფასების თითოეულ კომპონენტს გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში და ასევე გაწერილია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).

დაწვრილებით ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/martvis_%20instruc_18_SD.PDF

პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრს მიენიჭება კვალიფიკაცია: მენეჯმენტის ბაკალავრი, ძირითადი სპეციალობის არანაკლებ 220 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების არანაკლებ 20 კრედიტის ათვისების შემთხვევაში.

ძირითადი სპეციალობის 220 კრედიტი მოიცავს:

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს - ჯამში 186 კრედიტი;

უცხოური ენის კომპონენტს - ჯამში 6 კრედიტი. იგი მოიცავს ინგლისური, რუსული, გერმანული და ფრანგული ენების სასწავლო კურსებს. სტუდენტი, სწავლის დაწყებისას სურვილისამებრ ირჩევს ერთ-ერთ უცხოურ ენას;

სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებს - ჯამში 3 კრედიტი;

სპეციალობის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებს: ჯამში - 10 კრედიტი. მეშვიდე სემესტრში სტუდენტი სურვილისამებრ ირჩევს სპეციალობის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებს.

წინა საპროექტო პრაქტიკა მენეჯმენტის მიმართულებით: 5 კრედიტი.

საბაკალავრო პროექტს: 10 კრედიტი.

გარდა ამისა პროგრამა მოიცავს თავისუფალ კომპონენტებს: ჯამში 20 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტების საგანთა ველიდან სტუდენტის სურვილისამებრს ირჩევს სასწავლო კურს(ებ)ს მერვე სემესტრში არანაკლებ 20 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა სემესტრების მიხედვით მოიცავს:

I სემესტრი

საინჟინრო მათემატიკა 1 – 5 კრედიტი, უცხოური ენა 1 – 3 კრედიტი, ზოგადი ფიზიკა 1 – 5 კრედიტი, მშენებლობის სტატისტიკა – 4 კრედიტი; შესავალი სპეციალობაში – 5 კრედიტი, დაპროგრამების საფუძვლები მენეჯმენტში – 5 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები: 3 კრედიტი (საქართველოს ისტორია, ფილოსოფიის საფუძვლები, პოლიტიკის საფუძვლები, კულტუროლოგია, ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები, სოციოლოგიის შესავალი, შესავალი ფსიქოლოგიაში)

II სემესტრი

საინჟინრო მათემატიკა 1 – 5 კრედიტი, ზოგადი ფიზიკა 1 – 5 კრედიტი, უცხოური ენა 1 – 3 კრედიტი, მასალათა გამძლეობის საფუძვლები – 5 კრედიტი, ბიზნესის წარმოების საფუძვლები – 4 კრედიტი, თეორიული მექანიკა (კინემატიკა, კინეტიკა) – 5 კრედიტი, არქიტექტურული დაგეგმარება – 3 კრედიტი;

III სემესტრი

საინჟინრო მათემატიკა 3 – 5 კრედიტი, გეგმილური და სამშენებლო ხაზვა – 5 კრედიტი, ეკონომიკის პრინციპები – 5 კრედიტი, საშენი მასალები – 5 კრედიტი, გარემოს დაცვა და ეკოლოგია 2 – 5 კრედიტი, სამშენებლო მექანიკა – 5 კრედიტი;

IV სემესტრი

სამშენებლო კონსტრუქციები – 5 კრედიტი, სამშენებლო ეთიკა, სამართალი და კონტრაქტები – 5 კრედიტი, შესავალი ადამიანური რესურსების მენეჯმენტში – 5 კრედიტი, საინჟინრო გეოდეზიის საფუძვლები – 5 კრედიტი, სამშენებლო წარმოების/კომპანიების ოპერირება და მართვა – 5 კრედიტი, შენობა-ნაგებობათა აგების ტექნოლოგია – 5 კრედიტი;

V სემესტრი

შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში – 5 კრედიტი, საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები – 5 კრედიტი, მშენებლობის მარკეტინგი; – 5 კრედიტი, მშენებლობის ეკონომიკა – 5 კრედიტი, შესავალი სახარჯთაღრიცხვო საქმეში – 5 კრედიტი, სამშენებლო საინვესტიციო საქმიანობა და დეველოპმენტი – 5 კრედიტი;

VI სემესტრი

სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი 1 – 5 კრედიტი, მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა – 5 კრედიტი, ფინანსური აღრიცხვა – 5 კრედიტი, მშენებლობის ორგანიზაცია და დაგეგმვა – 5 კრედიტი, მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და შესყიდვების ორგანიზება – 5 კრედიტი, უძრავი ქონების შეფასება და მართვა – 5 კრედიტი;

VII სემესტრი

სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი 2 – 5 კრედიტი, სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი, სამშენებლო ბიზნესის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი – 5 კრედიტი, ინოვაციური ტექნოლოგიების მენეჯმენტი მშენებლობაში – 5 კრედიტი, წინა საპროექტო პრაქტიკა მენეჯმენტის მიმართულებით – 5 კრედიტი;

VIII სემესტრი

თავისუფალი კომპონენტები – 20 კრედიტი; საბაკალავრო პროექტი – 10 კრედიტი.

პროგრამის მიზანი

- მოამზადოს მენეჯმენტის ბაკალავრი, მშენებლობის მართვის თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით;
- შეასწავლოს ბიზნეს საქმიანობის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, გააზრება, მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა;
- შეასწავლოს სამშენებლო ბიზნეს-გეგმების შედგენის მეთოდები, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, მშენებლობისადმი წაყენებული ეკონომიკური მოთხოვნები სამშენებლო ბიზნესის პროცესების მენეჯმენტში ჩართვისთვის.
- შეასწავლოს სამშენებლო ბიზნეს საქმიანობაში ეკონომიკური, საფინანსო, სადაზღვევო, მარკეტინგული, ინოვაციური და სხვა პროცესების მართვის მექანიზმები;

- მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის სპეციალისტი რომელიც თავისი პროფესიული ქცევით და ეთიკური პასუხისმგებლობით მოტივირებული იქნება მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის საქმეში.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება – აქვს:

- მენეჯმენტის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს მშენებლობის მენეჯმენტის აუცილებელი უნარის გამომუშავებას, პროფესიული საქმიანობის საზღვრების გაცნობიერებას და კრიტიკულ გააზრებას;
- ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირების, ეფექტიანობის გაზომვის, სამშენებლო-ბიზნეს პროცესში მონაწილეების განსაზღვრის მეთოდების ცოდნა;
- ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრის და შესაბამისი ქმედებების განხორციელების თეორიული საფუძვლების ცოდნა;
- მენეჯერული პროცესების ეკონომიკური, მარტივი ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების შესწავლის და გაცნობიერების უნარი;
- საბუნებისმეტყველო საგნების საფუძვლების ცოდნა, მარტივი პრობლემების გადასაჭრელად;
- მშენებლობის პროცესში სამშენებლო ნორმებისა და წესების, მშენებლობის ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური საკითხების ცოდნა და გაცნობიერება;
- სამშენებლო სამუშაოების გარემოსთან მიმართებაში უვნებლად და უსაფრთხოდ წარმართვის, ტექნიკურ და გარემოს დაცვით საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაცნობიერების უნარი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – აქვს:

- ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრასა და შესაბამისი ქმედებების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების უნარი;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ანგარიშების მომზადების და წარდგენის, ფინანსური დოკუმენტების განმარტების, ფინანსური ინფორმაციის ანგარიშების მომზადების, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების გამოყენების, ბიუჯეტის მომზადების უნარი;
- კომპეტენციის ფარგლებში ამოცანების მართვის საჭირო რესურსების განსაზღვრის უნარი;
- თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით მშენებლობის მარტივი პროცესების მართვის უნარი;
- მითითების შესაბამისად დარგში მშენებლობისათვის დამახასიათებელი საერთო პრობლემების იდენტიფიცირების, ფორმულირებისა და გადაჭრის უნარი.
- სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით მშენებლობისადმი წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით სამუშაოთა მარტივი პროცესების წარმართვის უნარი.

დასკვნის უნარი – აქვს:

- სამშენებლო ბიზნესში, პროცესების მარკეტინგული მონაცემების შეგროვების და გაანალიზების საფუძველზე, განმარტების მიცემისა და დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- ტექნიკური ლიტერატურიდან და ინტერნეტიდან ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და დასკვნის უნარი;
- დარგში, მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს რისკ-ფაქტორების სწორად აღქმის, შეფასებისა და დასკვნის უნარი.

კომუნიკაციის უნარი – აქვს:

- მენეჯმენტის სფეროში ტერმინოლოგიის გამოყენებით საქმიანი დოკუმენტის შედგენის უნარი;
- სამშენებლო დარგში იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების, ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად, ქართულ და უცხოურ ენებზე გადაცემის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.

სწავლის უნარი – აქვს:

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების უნარი;
- თანმიმდევრულად მიღებული ცოდნის საფუძველზე, სწავლის პროცესის საჭიროებების დადგენის უნარი, განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურა).

ღირებულებები – აქვს:

- მენეჯერული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის და მათ

დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;

- ეთიკის ძირითადი კანონების დაცვით მოქმედების უნარი. პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობა, ზრუნავს საზოგადოების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, ასევე ესთეტიკურ ღირებულებებზე;
- ითავსებს ეკოლოგიური სისტემების პატივისცემის და გარემოს დაცვის ვალდებულებებს;
- აქვს პროფესიული ღირებულებების (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, ორგანიზებულობა და სხვა) დაცვის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული
 პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

(დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

5. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

6. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

7. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

8. **ლაბორატორიული მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

9. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შემენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური

პრაქტიკა, სავლე მუშაობა და სხვ.

10. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

11. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული დასაქმებული იქნება სამშენებლო ბიზნესში, სამშენებლო საპროექტო-საკონსტრუქტორო ფირმებში, მერიის ზედამხედველობის, არქიტექტურის სამსახურში, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთადაცვის სამინისტროში, საქართველოს ქალაქების და დასახლებული ადგილების მუნიციპალიტეტების კომუნალურ სამსახურებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებულ სამშენებლო სამსახურებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დამატარებელი დოკუმენტი და პროგრამის განხორციელებისათვის აკადემიური პერსონალის CV-ები იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 68

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი										
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი				
			სემესტრი										
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII			
1	საინჟინრო მათემატიკა 1	არ გააჩნია	5										
2	ზოგადი ფიზიკა 1	არ გააჩნია	5										
3	უცხოური ენა:		3										
3.1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 1	ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ჩააბარა ინგლისური ენა											
3.2	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 1	ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ჩააბარა რუსული ენა											
3.3	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 1	ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ჩააბარა ფრანგული ენა											
3.4	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 1	ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ჩააბარა გერმანული ენა											
4	მშენებლობის სტატისტიკა	არ გააჩნია	4										
5	შესავალი სპეციალობაში	არ გააჩნია	5										
6	დაპროგრამების საფუძვლები მენეჯმენტში	არ გააჩნია	5										
7	სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები	არ გააჩნია	3										
7.1	საქართველოს ისტორია	არ გააჩნია											
7.2	ფილოსოფიის საფუძვლები	არ გააჩნია											
7.3	პოლიტიკის საფუძვლები	არ გააჩნია											
7.4	კულტუროლოგია	არ გააჩნია											
7.5	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	არ გააჩნია											
7.6	სოციოლოგიის შესავალი	არ გააჩნია											
7.7	შესავალი ფსიქოლოგიაში	არ გააჩნია											
8	საინჟინრო მათემატიკა 2	საინჟინრო მათემატიკა 1		5									
9	ზოგადი ფიზიკა 2	ზოგადი ფიზიკა 1		5									
10	უცხოური ენა			3									
10.1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 2	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 1											
10.2	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 2	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 1											
10.3	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 2	ფრანგული ენა ტექნიკური											

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი																
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი										
			სემესტრი																
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII									
		სპეციალობებისათვის – 1																	
10.4	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 2	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 1																	
11	მასალათა გამძლეობის საფუძვლები	ზოგადი ფიზიკა 1; საინჟინრო მათემატიკა 1		5															
12	ბიზნესის წარმოების საფუძვლები	არ გააჩნია		4															
13	თეორიული მექანიკა (კინემატიკა, კინეტიკა)	საინჟინრო მათემატიკა 1; ზოგადი ფიზიკა 1		5															
14	არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები	არ გააჩნია		3															
15	საინჟინრო მათემატიკა 3	საინჟინრო მათემატიკა 2			5														
16	გეგმილური და სამშენებლო ხაზვა	არ გააჩნია			5														
17	ეკონომიკის პრინციპები	არ გააჩნია			5														
18	საშენი მასალები	არ გააჩნია			5														
19	გარემოს დაცვა და ეკოლოგია 2	არ გააჩნია			5														
20	სამშენებლო მექანიკა	საინჟინრო მათემატიკა 1, თეორიული მექანიკა (კინემატიკა, კინეტიკა); მასალათა გამძლეობის საფუძვლები			5														
21	სამშენებლო კონსტრუქციები	საშენი მასალები				5													
22	სამშენებლო ეთიკა, სამართალი და კონტრაქტები	არ გააჩნია				5													
23	შესავალი ადამიანური რესურსების მენეჯმენტში	არ გააჩნია				5													
24	საინჟინრო გეოდეზიის საფუძვლები	არ გააჩნია				5													
25	სამშენებლო წარმოების/კომპანიების ოპერირება და მართვა	ბიზნესის წარმოების საფუძვლები, შესავალი სპეციალობაში				5													
26	შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგია	არ გააჩნია				5													
27	შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში	არ გააჩნია						5											
28	საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები	არ გააჩნია						5											
29	მშენებლობის მარკეტინგი	შესავალი სპეციალობაში						5											
30	მშენებლობის ეკონომიკა	საინჟინრო მათემატიკა 2						5											

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
31	შესავალი სახარჯთაღრიცხვო საქმეში	შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგია					5			
32	სამშენებლო საინვესტიციო საქმიანობა და დეველოპმენტი	შესავალი სპეციალობაში					5			
33	სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი 1	არ გააჩნია						5		
34	მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა	შესავალი სახარჯთაღრიცხვო საქმეში						5		
35	ფინანსური აღრიცხვა	საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები						5		
36	მშენებლობის ორგანიზაცია და დაგეგმვა	შესავალი სპეციალობაში						5		
37	მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და შესყიდვების ორგანიზება	სამშენებლო ეთიკა, სამართალი და კონტრაქტები; შესავალი სპეციალობაში						5		
38	უძრავი ქონების შეფასება და მართვა	ფინანსური აღრიცხვა						5		
39	სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი 2	სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი 1							5	
40	სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები 1								5	
40.1	საგადასახადო საქმე	საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები								
40.2	სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების დაპროექტების საფუძვლები	სამშენებლო კონსტრუქციები								
41	სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები 2								5	
41.1	სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზის საფუძვლები	სამშენებლო კონსტრუქციები								
41.2	სამშენებლო ბიზნესი და ფინანსები	ბიზნესის წარმოების საფუძვლები								
42	სამშენებლო ბიზნესის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი	მშენებლობის ორგანიზაცია და დაგეგმვა; ფინანსური აღრიცხვა;							5	
43	ინოვაციური ტექნოლოგიების მენეჯმენტი მშენებლობაში	არ გააჩნია							5	
44	წინასაპროექტო პრაქტიკა მენეჯმენტის მიმართულებით	დაიშვება სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების არანაკლებ 120							5	

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი									
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
		კრედიტის ათვისების შემთხვევაში										
45	თავისუფალი კომპონენტები											20
45.1	ფირმის საქმის წარმოების მენეჯმენტი	არ გააჩნია										5
45.2	მენეჯმენტის ფსიქოლოგია	არ გააჩნია										5
45.3	გრუნტების მექანიკა	არ გააჩნია										5
45.4	სამშენებლო სარემონტო სამუშაოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია	შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგია										5
45.5	რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით შენობა-ნაგებობების დაპროექტება	არ გააჩნია										5
45.6	საბანკო საქმე	არ გააჩნია										5
45.7	საინჟინრო-ეკონომიკური ამოცანების ამოხსნის რიცხვითი მეთოდები	არ გააჩნია										5
45.8	სადაზღვევო საქმე	არ გააჩნია										5
45.9	ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა	არ გააჩნია										5
46	საბაკალავრო პროექტი	წინასაპროექტო პრაქტიკა მენეჯმენტის მიმართულებით										10
	ჯამი											30
		სემესტრში	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
		წელიწადში	60	60	60	60	60	60	60	60	60	60
		სულ	240									

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	საინჟინრო მათემატიკა 1	X	X			X	
2	ზოგადი ფიზიკა 1	X		X		X	
3	უცხოური ენა						
3.1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 1	X	X		X	X	
3.2	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 1	X	X		X	X	
3.3	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 1	X	X		X	X	
3.4	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 1	X	X		X	X	
4	მშენებლობის სტატისტიკა	X	X	X			
5	შესავალი სპეციალობაში	X	X	X			
6	დაპროგრამების საფუძვლები მენეჯმენტში	X	X	X	X		
7	სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები						
7.1	საქართველოს ისტორია	X	X	X	X		
7.2	ფილოსოფიის საფუძვლები	X	X				X
7.3	პოლიტიკის საფუძვლები	X	X	X	X		
7.4	კულტუროლოგია	X			X		X
7.5	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	X	X		X		
7.6	სოციოლოგიის შესავალი	X	X	X			X
7.7	შესავალი ფსიქოლოგიაში	X	X		X		
8	საინჟინრო მათემატიკა 2	X	X			X	
9	ზოგადი ფიზიკა 2		X	X		X	
10	უცხოური ენა						
10.1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 2	X	X		X	X	
10.2	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 2	X	X		X	X	
10.3	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 2	X	X		X	X	
10.4	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 2	X	X		X	X	
11	მასალათა გამძლეობის საფუძვლები	X	X	X	X	X	
12	ბიზნესის წარმოების საფუძვლები	X	X	X			
13	თეორიული მექანიკა (კინემატიკა, კინეტიკა)	X	X	X		X	
14	არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები	X	X	X	X	X	
15	საინჟინრო მათემატიკა 3	X	X			X	
16	გეგმილური და სამშენებლო ხაზვა	X	X			X	
17	ეკონომიკის პრინციპები	X	X	X	X	X	X
18	საშენი მასალები	X	X	X		X	
19	გარემოს დაცვა და ეკოლოგია 2	X	X		X		X
20	შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში	X	X	X			
21	სამშენებლო მექანიკა	X	X	X			

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
22	სამშენებლო ეთიკა, სამართალი და კონტრაქტები	X	X		X		X
23	შესავალი ადამიანური რესურსების მენეჯმენტში	X	X	X	X	X	X
24	საინჟინრო გეოდეზიის საფუძვლები	X	X	X			
25	სამშენებლო წარმოების/კომპანიების ოპერირება და მართვა	X	X	X			
26	შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგია	X	X	X			
27	სამშენებლო კონსტრუქციები	X	X			X	
28	საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები	X	X	X			
29	მშენებლობის მარკეტინგი	X	X	X			X
30	მშენებლობის ეკონომიკა	X	X	X			
31	შესავალი სახარჯთაღრიცხვო საქმეში	X	X	X			
32	სამშენებლო საინვესტიციო საქმიანობა და დეველოპმენტი	X	X	X			
33	სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი 1	X	X	X			
34	მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა	X	X	X			
35	ფინანსური აღრიცხვა	X	X	X			
36	მშენებლობის ორგანიზაცია და დაგეგმვა	X	X	X			
37	მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და შესყიდვების ორგანიზება	X	X	X			
38	უძრავი ქონების შეფასება და მართვა	X	X	X			
39	სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი 2	X	X	X			
40	სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები 1						
40.1	საგადასახადო საქმე	X	X	X			
40.2	სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების დაპროექტების საფუძვლები	X	X			X	
41	სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები 2						
41.1	სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზის საფუძვლები	X	X	X	X		X
41.2	სამშენებლო ბიზნესი და ფინანსები	X	X	X			
42	სამშენებლო ბიზნესის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი	X	X	X			
43	ინოვაციური ტექნოლოგიების მენეჯმენტი მშენებლობაში	X	X	X			
44	წინა საპროექტო პრაქტიკა მენეჯმენტის მიმართულებით	X	X	X	X	X	X
45	თავისუფალი კომპონენტები						
45.1	ფირმის საქმის წარმოების მენეჯმენტი	X	X	X			
45.2	მენეჯმენტის ფსიქოლოგია	X	X			X	
45.3	გრუნტების მექანიკა	X	X	X			
45.4	სამშენებლო სარემონტო სამუშაოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია	X	X	X	X		
45.5	რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით შენობა-ნაგებობების დაპროექტება		X		X		X
45.6	საბანკო საქმე	X	X			X	
45.7	საინჟინრო-ეკონომიკური ამოცანების ამოხსნის რიცხვითი	X	X			X	

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
	მეთოდები						
44.8	სადაზღვევო საქმე	X	X			X	X
44.9	ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა	X	X			X	
46	საბაკალავრო პროექტი	X	X	X	X	X	X

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	MAS33508G1	საინჟინრო მათემატიკა 1	5/125	15		30					1	1	78
2	PHS50208G1	ზოგადი ფიზიკა 1	5/125	15			30				1	2	77
3		უცხოური ენა											
3.1	LEH14412G1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 1	3/75			30					1	1	43
3.2	LEH14612G1	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის –1	3/75			30					1	1	43
3.3	LEH14812G1	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის –1	3/75			30					1	1	43
3.4	LEH15012G1	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის –1	3/75			30					1	1	43
4	AAC80801G1	მშენებლობის სტატისტიკა	4/100	15	15						1	1	68
5	AAC82101G1	შესავალი სპეციალობაში	5/125	15		30					1	1	78
6	ICT32501G2	დაპროგრამების საფუძვლები მენეჯმენტში	5/125	15		15	15				1	1	78
7		სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები											
7.1	HEL2021G1	საქართველოს ისტორია	3/75	15	15						1	1	43
7.2	HEL30212G1	ფილოსოფიის საფუძვლები	3/75	15	15						1	1	43
7.3	SOS62411G1	პოლიტიკის საფუძვლები	3/75	15	15						1	1	43
7.4	SOS43811G1	კულტუროლოგია	3/75	15	15						1	1	43
7.5	LEH12012G1	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	3/75	15	15						1	1	43
7.6	SOS40312G1	სოციოლოგიის შესავალი	3/75	15	15						1	1	43
7.7	SOS30312G1	შესავალი ფსიქოლოგიაში	3/75	15	15						1	1	43
8	MAS33608G1	საინჟინრო მათემატიკა2	5/125	15		30					1	1	78
9	PHS50308G1	ზოგადი ფიზიკა 2	5/125	15			30				1	2	77
10		უცხოური ენა											
10.1	LEH14512G1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 2	3/75			30					1	1	43
10.2	LEH14712G1	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის –2	3/75			30					1	1	43
10.3	LEH14912G1	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის – 2	3/75			30					1	1	43
10.4	LEH15112G1	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის –2	3/75			30					1	1	43
11	EET71005G1	მასალათა გამძლეობის საფუძვლები	5/125	15		15	15				1	1	78
12	BUA75201G1	ბიზნესის წარმოების	4/100	15	30						1	1	68

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი										
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა		
		საფუძვლები												
13	MAS40301G1	თეორიული მექანიკა (კინემატიკა, კინეტიკა)	5/125	15		15	15				1	1		78
14	AAC13406G1	არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები	3/75	15					15		1	1		43
15	MAS33708G1	საინჟინრო მათემატიკა 3	5/125	15		30					1	1		78
16	AAC80401G1	გეგმილური და სამშენებლო ხაზვა	5/125			45					1	1		78
17	SOS53901G1	ეკონომიკის პრინციპები	5/125	15	30						1	1		78
18	AAC81901G1	საშენი მასალები	5/125	30			15				1	1		78
19	EET26001G1	გარემოს დაცვა და ეკოლოგია 2	5/125	15	15		15				1	1		78
20	AAC82201G1	შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში	5/125	30			15				1	1		78
21	AAC81501G1	სამშენებლო მექანიკა	5/125	15		15			15		1	1		78
22	AAC81301G1	სამშენებლო ეთიკა, სამართალი და კონტრაქტები	5/125	15		30					1	1		78
23	BUA75101G1	შესავალი ადამიანური რესურსების მენეჯმენტში	5/125	15	30						1	1		78
24	PHS40403G1	საინჟინრო გეოდეზიის საფუძვლები	5/125	15			30				1	1		78
25	AAC82501G1	სამშენებლო წარმოების/კომპანიების ოპერირება და მართვა	5/125	15	30						1	1		78
26	AAC30401G1	შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგია	5/125	15		15			15		1	1		78
27	AAC81401G1	სამშენებლო კონსტრუქციები	5/125	15		30					1	1		78
28	BUA12001G1	საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები	5/125	15		30					1	1		78
29	BUA53401G1	მშენებლობის მარკეტინგი	5/125	15	30						1	1		78
30	AAC80501G1	მშენებლობის ეკონომიკა	5/125	15	30						1	1		78
31	AAC82001G1	შესავალი სახარჯთაღრიცხვო საქმეში	5/125	15		30					1	1		78
32	AAC81001G1	სამშენებლო საინვესტიციო საქმიანობა და დეველოპმენტი	5/125	15		30					1	1		78
33	AAC81601G1	სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი 1	5/125	15		30					1	1		78
34	AAC82401G1	მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა	5/125	15		15			15		1	1		78
35	BUA12001G1	ფინანსური აღრიცხვა	5/125	15		30					1	1		78
36	AAC80701G1	მშენებლობის ორგანიზაცია და დაგეგმვა	5/125	15		30					1	1		78
37	AAC80601G1	მშენებლობის მატერიალურ-	5/125	15	30						1	1		78

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
		ტექნიკური უზრუნველყოფა და შესყიდვების ორგანიზება											
38	BUA48201G1	უძრავი ქონების შეფასება და მართვა	5/125	15		30					1	1	78
39	AAC81701G1	სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი 2	5/125	15					30		1	1	78
40		სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები 1											
40.1	BUA12101G1	საგადასახადო საქმე	5/125	15		30					1	1	78
40.2	AAC81101G1	სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების დაპროექტების საფუძვლები	5/125	15	30						1	1	78
41		სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები 2											
41.1	AAC81801G1	სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზის საფუძვლები	5/125	15		30					1	1	78
41.2	BUA28301G1	სამშენებლო ბიზნესი და ფინანსები	5/125	15		30					1	1	78
42	AAC81201G1	სამშენებლო ბიზნესის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი	5/125	15					30		1	1	78
43	BUA75001G1	ინოვაციური ტექნოლოგიების მენეჯმენტი მშენებლობაში	5/125	15	15	15					1	1	78
44	BUA31601G2	წინა საპროექტო პრაქტიკა მენეჯმენტის მიმართულებით	5/125					45			2	2	76
45		თავისუფალი კომპონენტები											
45.1	BUA31701G2	ფირმის საქმის წარმოების მენეჯმენტი	5/125	30	15						1	1	78
45.2	SOS32201G1	მენეჯმენტის ფსიქოლოგია	5/125	30	15						1	1	78
45.3	PHS35901G2	გრუნტების მექანიკა	5/125	15		15			15		1	1	78
45.4	AAC08001G1	სამშენებლო სარემონტო სამუშაოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია	5/125	15	15				15		1	1	78
45.5	AAC07901G1	რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით შენობა-ნაგებობების დაპროექტება	5/125	15		15			15		1	1	78
45.6	BUA29301G1	საბანკო საქმე	5/125	15	30						1	1	78
45.7	ICT32601G2	საინჟინრო-ეკონომიკური ამოცანების ამოხსნის რიცხვითი მეთოდები	5/125	15	15		15				1	1	78
45.8	BUA29401G1	სადაზღვევო საქმე	5/125	30	15						1	1	78

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუსემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
45.9	ENV20601G1	ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა	5/125	15	30					1	1	78
46	BUA31501G2	საბაკალავრო პროექტი	10/250						90	2	2	156

პროგრამის ხელმძღვანელი

ვახტანგ ბალავაძე

სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მარინა ჯავახიშვილი

სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი

დავით გურგენიძე

მიღებულია

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი №4.19.05.2014

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მოდიფიცირებულია

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი №25 30.03.2018

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

დავით გურგენიძე